საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №102/ნ
2014 წლის 21 აგვისტო

ქ. თბილისი

„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების (სსმ, 163, 14/12/2010, ს/კ: 430010000.22.022.016036) მე-4 პუნქტით დამტკიცებული „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში“ (დანართი №4) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) 0205 დარგი/სპეციალობა „ტურიზმი“ ამოღებულ იქნეს.

ბ) ამოღებულ იქნეს შემდეგი ქვედარგები/სპეციალიზაციები:

ბ.ა) 020501 ბუნების ტურიზმი და დაცული ტერიტორიები;

ბ.ბ) 020502 ეკოლოგიური ტურიზმი;

ბ.გ) 020503 კულტურული ტურიზმი;

ბ.დ) 020504 სამკურნალო ტურიზმი და საკურორტო საქმიანობა;

ბ.ე) 020505 რეკრეაციული ტურიზმი;

ბ.ვ) 020506 აგროტურიზმი.

გ) ამოღებულ იქნეს შემდეგი პროფესიული სპეციალიზაციები:

გ.ა) 020551 გიდი (გეოტურიზმის და ა.შ.);

გ.ბ) 020552 ტუროპერატორი (აგრო-, ეკო- და ა.შ. ტუროპერატორი);

გ.გ) 020553 სასტუმრო საქმისმწარმოებელი;

გ.დ) 020554 სარესტორნო საქმისმწარმოებელი;

გ.ე) 020555 მიმღები - რეცეფციონისტი;

გ.ვ) 020556 ბარმენი;

გ.ზ) 020557 მიმტანი;

გ.თ) 020558 სომელიე;

გ.ი) 020559 სამთო გამყოლი;

გ.კ) 020560 საფეხმავლო გამყოლი;

გ.ლ) 020561 დასუფთავების სამსახურის სპეციალისტი.

დ) 040615 ქვედარგი/სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ქვედარგი/სპეციალიზაცია - „040616 სამშენებლო მექანიკა და სეისმომედეგი მშენებლობა“.

ე) 1119 დარგი/სპეციალობის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის დარგი/სპეციალობა - „1120 ტურიზმი“.

ვ) 1120 დარგის/სპეციალობის გასწვრივ შესაბამისი ქვედარგის/სპეციალიზაციის ჩამონათვალში დაემატოს შემდეგი შინაარსის ქვედარგები/ სპეციალიზაციები:

ვ.ა) 112001 ბუნების ტურიზმი და დაცული ტერიტორიები;

ვ.ბ) 112002 ეკოლოგიური ტურიზმი;

ვ.გ) 112003 კულტურული ტურიზმი;

ვ.დ) 112004 სამკურნალო ტურიზმი და საკურორტო საქმიანობა;

ვ.ე) 112005 რეკრეაციული ტურიზმი;

ვ.ვ) 112006 აგროტურიზმი.

ზ) 1120 დარგის/სპეციალობის გასწვრივ შესაბამისი პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში დაემატოს შემდეგი შინაარსის პროფესიული სპეციალიზაციები:

ზ.ა) 112051 გიდი (გეოტურიზმის და ა.შ.);

ზ.ბ) 112052 ტუროპერატორი (აგრო-, ეკო- და ა.შ. ტუროპერატორი);

ზ.გ) 112053 სასტუმრო საქმისმწარმოებელი;

ზ.დ)112054 სარესტორნო საქმისმწარმოებელი;

ზ.ე) 112055 მიმღები-რეცეფციონისტი;

ზ.ვ) 112056 ბარმენი;

ზ.ზ) 112057 მიმტანი;

ზ.თ)112058 სომელიე;

ზ.ი) 112059 სამთო გამყოლი;

ზ.კ) 112060 საფეხმავლო გამყოლი;

ზ.ლ) 112061 დასუფთავების სამსახურის სპეციალისტი.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**